

## შპს „ვოლსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

|                                                                          |   |
|--------------------------------------------------------------------------|---|
| კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 1 |
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                  | 2 |
| კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....         | 3 |

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                           |    |
|-----------------------------------------------------------|----|
| 1. კორპორატიული ინფორმაცია.....                           | 4  |
| 2. მომზადების საფუძველი.....                              | 4  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....      | 5  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... | 9  |
| 5. ამონაგები რეალიზაციიდან.....                           | 9  |
| 6. თვითღირებულება.....                                    | 9  |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....                 | 9  |
| 8. კომერციული ხარჯები .....                               | 10 |
| 9. საპროცენტო შემოსავალი.....                             | 10 |
| 10. წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან .....          | 10 |
| 11. მარაგები .....                                        | 10 |
| 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                      | 11 |
| 13. გაცემული სესხები.....                                 | 11 |
| 14. ფული და ფულის ექვივალენტები .....                     | 11 |
| 15. კაპიტალი .....                                        | 11 |
| 16. მიღებული სესხები.....                                 | 11 |
| 17. საგადასახადო ვალდებულება .....                        | 11 |
| 18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                    | 12 |

შპს “ვოლსი”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                       |          | 2024               | 2023              |
|-------------------------------------------------------|----------|--------------------|-------------------|
|                                                       | შენიშვნა | (არააუდიტირებული)  | (არააუდიტირებული) |
| ამონაგები რეალიზაციიდან                               | 5        | 3,832,200          | 6,822,797         |
| თვითღირებულება                                        | 6        | (1,654,951)        | (2,416,248)       |
| <b>საერთო მოგება</b>                                  |          | <b>2,177,249</b>   | <b>4,406,549</b>  |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                     | 7        | (2,987,643)        | (295,245)         |
| კომერციული ხარჯები                                    | 8        | (22,512)           | (221,003)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                                 |          | -                  | (14,526)          |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>                     |          | <b>(832,906)</b>   | <b>3,875,775</b>  |
| საპროცენტო შემოსავალი                                 | 9        | 14,830             | 37,458            |
| საპროცენტო ხარჯი                                      |          | (348,649)          | (111,884)         |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან                         |          | 100,994            | 128,862           |
| <b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>                    |          | <b>(1,065,731)</b> | <b>3,930,211</b>  |
| მოგების გადასახადი                                    |          | (116,897)          | (83,591)          |
| <b>წლის (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |          | <b>(1,182,628)</b> | <b>3,846,620</b>  |
| წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან                | 10       | -                  | 1,037,640         |
| <b>წმინდა (ზარალი)/მოგება</b>                         |          | <b>(1,182,628)</b> | <b>4,884,260</b>  |
| <b>წლის სრული (ზარალი)/მოგება მისაკუთვნებელი:</b>     |          |                    |                   |
| სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე                          |          | (927,250)          | 2,485,881         |
| არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე                     |          | (255,378)          | 1,360,739         |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>                 |          | <b>(1,182,628)</b> | <b>3,846,620</b>  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

ვლადიმერ ცხვიტარია  
დირექტორი

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს "ვოლსი"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                       |          | 2024               | 2023              |
|-------------------------------------------------------|----------|--------------------|-------------------|
|                                                       | შენიშვნა | (არააუდიტირებული)  | (არააუდიტირებული) |
| ამონაგები რეალიზაციიდან                               | 5        | 3,832,200          | 6,822,797         |
| თვითღირებულება                                        | 6        | (1,654,951)        | (2,416,248)       |
| <b>საერთო მოგება</b>                                  |          | <b>2,177,249</b>   | <b>4,406,549</b>  |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                     | 7        | (2,987,643)        | (295,245)         |
| კომერციული ხარჯები                                    | 8        | (22,512)           | (221,003)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                                 |          | -                  | (14,526)          |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>                     |          | <b>(832,906)</b>   | <b>3,875,775</b>  |
| საპროცენტო შემოსავალი                                 | 9        | 14,830             | 37,458            |
| საპროცენტო ხარჯი                                      |          | (348,649)          | (111,884)         |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან                         |          | 100,994            | 128,862           |
| <b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>                    |          | <b>(1,065,731)</b> | <b>3,930,211</b>  |
| მოგების გადასახადი                                    |          | (116,897)          | (83,591)          |
| <b>წლის (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |          | <b>(1,182,628)</b> | <b>3,846,620</b>  |
| წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან                | 10       | -                  | 1,037,640         |
| <b>წმინდა (ზარალი)/მოგება</b>                         |          | <b>(1,182,628)</b> | <b>4,884,260</b>  |
| <b>წლის სრული (ზარალი)/მოგება მისაკუთვანებელი:</b>    |          |                    |                   |
| სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე                          |          | (927,250)          | 2,485,881         |
| არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე                     |          | (255,378)          | 1,360,739         |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>                 |          | <b>(1,182,628)</b> | <b>3,846,620</b>  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

ვლადიმერ ცხვიტარია  
დირექტორი

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს “ვოლსი”**

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                    |    | 31 დეკემბერი 2024<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2023<br>(არააუდიტირებული) |
|----------------------------------------------------|----|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                                    |    |                                        |                                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                       |    |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                               |    | 127                                    | 229                                    |
| არამატერიალური აქტივები                            |    | 35,139                                 | 35,139                                 |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                   |    | <b>35,266</b>                          | <b>35,368</b>                          |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                          |    |                                        |                                        |
| მარაგები                                           | 11 | 5,149,476                              | 5,916,175                              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                         | 12 | 4,659,401                              | 5,114,136                              |
| გაცემული სესხები                                   | 13 | 518,694                                | 239,533                                |
| ფული და ფულის ექვივალენტები                        | 14 | 115,931                                | 26,336                                 |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                      |    | <b>10,443,502</b>                      | <b>11,296,180</b>                      |
| <b>სულ აქტივები</b>                                |    | <b>10,478,768</b>                      | <b>11,331,548</b>                      |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                           |    |                                        |                                        |
| საწესდებო კაპიტალი                                 | 15 | 1,048                                  | 1,048                                  |
| გაუნაწილებელი მოგება                               | 15 | 4,107,342                              | 5,034,592                              |
| <b>კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი</b> |    | <b>4,108,390</b>                       | <b>5,035,640</b>                       |
| არამაკონტროლებელი წილი                             |    | 1,521,953                              | 2,439,746                              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                |    | <b>5,630,343</b>                       | <b>7,475,386</b>                       |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                  |    |                                        |                                        |
| გრძელვადიანი სესხები                               | 16 | -                                      | 2,028,633                              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>              |    | <b>-</b>                               | <b>2,028,633</b>                       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                     |    |                                        |                                        |
| მოკლევადიანი სესხები                               | 16 | 4,502,775                              | 1,541,552                              |
| საგადასახადო ვალდებულებები                         | 17 | 1,246                                  | 10,786                                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                      | 18 | 344,404                                | 275,191                                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                 |    | <b>4,848,425</b>                       | <b>1,827,529</b>                       |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>      |    | <b>10,478,768</b>                      | <b>11,331,548</b>                      |

შპს “ვოლსი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)                                        | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>მფლობელის<br>კაპიტალი | არამაკონტროლებელი<br>წილი | სულ              |
|----------------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------------------|---------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2022</b>                                 | -                     | 2,551,471               | 2,551,471                    | 1,552,691                 | 4,104,162        |
| მიმდინარე წლის სრული<br>შემოსავალი                       | -                     | 2,485,881               | 2,485,881                    | 1,360,739                 | 3,846,620        |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                | -                     | -                       | -                            | (473,684)                 | (473,684)        |
| შეწყვეტილი<br>ოპერაციების შედეგი                         | -                     | 1,037,640               | 1,037,640                    | -                         | 1,037,640        |
| დამფუძნებლებთან<br>განხორციელებული<br>ოპერაციების შედეგი | -                     | (1,040,400)             | (1,040,400)                  | -                         | (1,040,400)      |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა                              | 1,048                 | -                       | 1,048                        | -                         | 1,048            |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>                                 | <b>1,048</b>          | <b>5,034,592</b>        | <b>5,035,640</b>             | <b>2,439,746</b>          | <b>7,475,386</b> |
| მიმდინარე წლის სრული<br>ზარალი                           | -                     | (927,250)               | (927,250)                    | (255,378)                 | (1,182,628)      |
| დივიდენდის<br>გამოცხადება                                | -                     | -                       | -                            | (662,415)                 | (662,415)        |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>                                 | <b>1,048</b>          | <b>4,107,342</b>        | <b>4,108,390</b>             | <b>1,521,953</b>          | <b>5,630,343</b> |

## შპს „ვოლსი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ვოლსი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2021 წლის 23 მარტი და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405451540.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილ კომპანიებში წილების ფლობა და მართვა. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფში დასაქმებული იყო საშუალოდ 4 თანამშრომელი.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიო ხუციშვილის ქ., N 3.

**ჯგუფის სტრუქტურა.** კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

| შვილობილი კომპანია    | 2024   | 2023   |
|-----------------------|--------|--------|
| შპს „ვოლსი ლისი“      | 100%   | 100%   |
| შპს „ვოლსი ბაკურიანი“ | 90%    | 90%    |
| შპს „მწვანე მუხები“   | 66.66% | 66.66% |

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება და შემდგომ მიწების რეალიზაცია.

**კომპანიის მეწილეები:** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები იყვნენ:

|                 | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------|----------------------|----------------------|
| ნოდარ ხუბაშვილი | 50%                  | 50%                  |
| შალვა ხუბაშვილი | 50%                  | 50%                  |

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

#### 2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

### კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

**შვილობილი კომპანიები.** შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემქნის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემქნილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი | 2.8068                                          | 2.9306 |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2.6894                                          | 2.9753 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარჩები იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი              | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|--------------------|------------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი                       |

#### არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

**მარაგები.** ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

**5. ამონაგები რეალიზაციიდან**

|                                | 2024             | 2023             |
|--------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი მიწის რეალიზაციიდან | 3,803,450        | 6,621,547        |
| სხვა                           | 28,750           | 201,250          |
| <b>სულ</b>                     | <b>3,832,200</b> | <b>6,822,797</b> |

**6. თვითღირებულება**

|                                  | 2024               | 2023               |
|----------------------------------|--------------------|--------------------|
| რეალიზებული მიწის თვითღირებულება | (1,654,951)        | (2,344,872)        |
| სხვა                             | -                  | (71,376)           |
| <b>სულ</b>                       | <b>(1,654,951)</b> | <b>(2,416,248)</b> |

**7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                                                 | 2024               | 2023             |
|-------------------------------------------------|--------------------|------------------|
| საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი | (2,791,843)        | -                |
| კომუნიკაციის ხარჯები                            | (55,923)           | (4,221)          |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                          | (44,970)           | (507)            |
| საკონსულტაციო ხარჯები                           | (42,290)           | (78,220)         |
| შრომის ანაზღაურება                              | (22,400)           | (114,871)        |
| საგადასახადო ხარჯი                              | (13,491)           | (26,177)         |
| საიჯარო ქირა                                    | (9,213)            | (13,387)         |
| ჯარიმები და საურავები                           | (1,306)            | (15,023)         |
| საპენსიო ხარჯები                                | (421)              | (2,445)          |
| სხვა                                            | (5,786)            | (40,394)         |
| <b>სულ</b>                                      | <b>(2,987,643)</b> | <b>(295,245)</b> |

## შპს „ვოლსი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 8. კომერციული ხარჯები

|                    | 2024            | 2023             |
|--------------------|-----------------|------------------|
| რეკლამის ხარჯი     | (22,512)        | (216,556)        |
| შრომის ანაზღაურება | -               | (4,447)          |
| <b>სულ</b>         | <b>(22,512)</b> | <b>(221,003)</b> |

#### 9. საპროცენტო შემოსავალი

მუხლი სრულად უკავშირდება დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს, რომელიც 2024 წელს შეადგენს 14,830 ლარს (2023: 37,458 ლარი).

#### 10. წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

##### შპს „ვოლსი გლდანი“-ს გასხვისება

გასხვისებული აქტივებისა და ვალდებულებების მთავარი კატეგორიები, გასხვისებული შვილობილი საწარმოსთვის აგრეგირებული სახით ასე გამოიყურება:

|                                      | ლარი             |
|--------------------------------------|------------------|
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |                  |
| მარაგები                             | 6,536,827        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 26               |
| <b>სულ აქტივები</b>                  | <b>6,536,853</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>       |                  |
| მიღებული სესხები                     | 338,266          |
| საგადასახადო ვალდებულება             | 1,041            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 6,331,833        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>             | <b>6,671,140</b> |
| <b>გასხვისებული წმინდა აქტივები</b>  | <b>(134,287)</b> |
| <br>                                 |                  |
| მიღებული საზღაური                    | 903,353          |
| <b>გასხვისებიდან მიღებული მოგება</b> | <b>1,037,640</b> |

#### 11. მარაგები

|                        | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------|----------------------|----------------------|
| დაუმთავრებელი წარმოება | 2,661,295            | 3,076,112            |
| მიწები                 | 2,454,192            | 2,833,113            |
| სხვა                   | 33,989               | 6,950                |
| <b>სულ</b>             | <b>5,149,476</b>     | <b>5,916,175</b>     |

## შპს “ვოლსი”

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 7,179,383            | 4,893,123            |
| გადახდილი ავანსები                       | 271,861              | 221,013              |
|                                          | <b>7,451,244</b>     | <b>5,114,136</b>     |
| საექვო და უიმედო ვალების რეზერვი*        | (2,791,843)          | -                    |
| <b>სულ</b>                               | <b>4,659,401</b>     | <b>5,114,136</b>     |

\* სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასების მიზნით ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური გაუფასურების მეთოდი.

#### 13. გაცემული სესხები

აღნიშნული მუხლი სრულად უკავშირდება დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც 2024 წლის ბოლოს შეადგენს 518,694 ლარს (2023: 239,533 ლარი).

#### 14. ფული და ფულის ექვივალენტები

|                              | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში  | 112,833              | 1,345                |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 3,098                | 24,991               |
| <b>სულ</b>                   | <b>115,931</b>       | <b>26,336</b>        |

#### 15. კაპიტალი

##### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა 2024 წლის ბოლოს შეადგენს 1,048 ლარს (2023: 1,048 ლარი). ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

##### დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 662,415 ლარის ოდენობით (2023: 473,684 ლარი).

#### 16. მიღებული სესხები

აღნიშნული მუხლი სრულად უკავშირდება ფინანსური ინსტიტუტისგან და დამფუძნებლისგან მიღებულ სესხებს უცხოურ ვალუტაში, რომელიც 2024 წლის ბოლოს შეადგენს 4,502,775 ლარს (2023: 3,570,552 ლარი).

#### 17. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 282,115              | 142,490              |
| მიღებული ავანსები     | 61,331               | 129,701              |
| სხვა                  | 958                  | 3,000                |
| <b>სულ</b>            | <b>344,404</b>       | <b>275,191</b>       |